

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31-12-24	31-12-23 (გადაანგარიშებული)	31-12-22 (გადაანგარიშებული)
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	169,626	2,771,899	939,396
სასაქონლო მატერიალური მარაგი	5	6,095,622	6,082,071	6,374,526
გადახდილი ავანსები	6	4,973,005	2,972,506	374,686
სავაჭრო მოთხოვნები		11,070	275	792
საგადასახადო აქტივები		579,449	176,381	78,007
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	7	470,307	507,517	689,969
სულ მოკლევადიანი აქტივები		12,299,079	12,510,649	8,457,376
გრძელევადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		613,052	81,059	69,304
სულ გრძელევადიანი აქტივები		613,052	81,059	69,304
სულ აქტივები		12,912,131	12,591,708	8,526,680
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		70,966	61,671	27,549
გადასახდელი ხელფასები		9,869	-	2,976
საგადასახადო ვალდებულებები		787,926	250,356	-
მიღებული ავანსები	8	4,606,706	3,206,687	873,006
გადასახდელი პროცენტები		332,646	252,907	130,887
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5,808,113	3,771,621	1,034,418
გრძელევადიანი ვალდებულებები				
გრძელევადიანი სასესხო ვალდებულებები	9	2,935,475	1,969,133	1,977,890
სულ გრძელევადიანი ვალდებულებები		2,935,475	1,969,133	1,977,890
სულ ვალდებულებები		8,743,588	5,740,754	3,012,308
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		1,819,951	1,819,951	2,088,731
გაუნაწილებელი მოგება		2,348,592	5,031,003	3,425,641
სულ საკუთარი კაპიტალი		4,168,543	6,850,954	5,514,372
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		12,912,131	12,591,708	8,526,680

დირექტორი ----- გიორგი დალაქიშვილი

შპს რექტუს დეველოპმენტი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	12
5. მარაგები	12
6. გადახდილი ავანსები	12
7. ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში	13
8. მიღებული ავანსები	13
9. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები.....	13
10. შემოსავალი რეალიზაციიდან და თვითღირებულების ხარჯი	14
11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14
12. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	14
13. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	15
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31-12-24	31-12-23 (გადაანგარიშებული)	31-12-22 (გადაანგარიშებული)
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	169,626	2,771,899	939,396
სასაქონლო მატერიალური მარაგი	5	6,095,622	6,082,071	6,374,526
გადახდილი ავანსები	6	4,973,005	2,972,506	374,686
სავაჭრო მოთხოვნები		11,070	275	792
საგადასახადო აქტივები		579,449	176,381	78,007
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	7	470,307	507,517	689,969
სულ მოკლევადიანი აქტივები		12,299,079	12,510,649	8,457,376
გრძელევადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		613,052	81,059	69,304
სულ გრძელევადიანი აქტივები		613,052	81,059	69,304
სულ აქტივები		12,912,131	12,591,708	8,526,680
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		70,966	61,671	27,549
გადასახდელი ხელფასები		9,869	-	2,976
საგადასახადო ვალდებულებები		787,926	250,356	-
მიღებული ავანსები	8	4,606,706	3,206,687	873,006
გადასახდელი პროცენტები		332,646	252,907	130,887
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5,808,113	3,771,621	1,034,418
გრძელევადიანი ვალდებულებები				
გრძელევადიანი სასესხო ვალდებულებები	9	2,935,475	1,969,133	1,977,890
სულ გრძელევადიანი ვალდებულებები		2,935,475	1,969,133	1,977,890
სულ ვალდებულებები		8,743,588	5,740,754	3,012,308
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		1,819,951	1,819,951	2,088,731
გაუნაწილებელი მოგება		2,348,592	5,031,003	3,425,641
სულ საკუთარი კაპიტალი		4,168,543	6,850,954	5,514,372
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		12,912,131	12,591,708	8,526,680

დირექტორი ----- გიორგი დალაქიშვილი

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	946,725	3,520,282
თვითღირებულების ხარჯი	10	(2,219,820)	(833,433)
საერთო მოგება/ზარალი		(1,273,095)	2,686,849
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(694,166)	(520,866)
ხელფასები და სხვა სარგებელი	12	(450,175)	(358,768)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი		(27,905)	(13,226)
კომპანიის წილი მოგება ერთობლივ საწარმოში	7	(37,210)	(132,452)
სხვა შემოსავლები		706	624
სხვა შემოსავლები		-	(769)
მოგება/ზარალი პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		(2,481,845)	1,661,392
საპროცენტო შემოსავალი		26,882	29,146
საპროცენტო ხარჯი		(165,899)	(123,500)
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან		(61,206)	80,487
მოგება დაბეგვრამდე		(2,682,068)	1,647,525
მოგების გადასახადი		(343)	(9,611)
წმინდა მოგება/ზარალი		(2,682,411)	1,637,914

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარი	2,088,731	3,425,641	5,514,372
დივიდენდის გატანა	-	(32,552)	(32,552)
კაპიტალის შემცირება	(268,780)	-	(268,780)
წმინდა მოგება	-	1,637,914	1,637,914
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	1,819,951	5,031,003	6,850,954
წმინდა ზარალი	-	(2,682,411)	(2,682,411)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი	1,819,951	2,348,592	4,168,543

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს რექტუს დეველოპმენტი დაფუძნდა 2015 წლის 1 მაისს. კომპანიის მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ., N3, კორპ. 27, ბინა 42. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 405098709.

კომპანიის პარტნიორებს წარმოადგენენ კორნელი შულღაძე, (პ/ნ: 22001029560) 12.5%, გიორგი დალაქიშვილი (პ/ნ: 31001040497) 12.5%, გიორგი გვიდიანი (პ/ნ: 55001020915) 12.5%, ნიკოლოზ ქეცხიშვილი (პ/ნ: 01029014726) 12.5% და აბრაჰამ რეიხბახ (530955602, აშშ) 50%.

კომპანიის დირექტორს წარმოადგენს გიორგი დალაქიშვილი (პ/ნ: 31001040497).

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს უძრავი ქონების შესყიდვა, კეთილმოწყობა და რეალიზაცია.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

2024 წელს კომპანიამ ჩაატარა საწყისი ნაშთების, მათ შორის არამონეტარული და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად კომპანიამ

გადაანგარიშა და დააკორექტირა საწყისი ნაშთები. გარდა ამისა, უკეთესი პრეზენტაციის მიზნით, კომპანიამ მოახდინა გარკვეულ ანგარიშებს შორის ნაშთების გადაკლასიფიცირება. ყველა ის ფინანსური უწყისი, რომელიც გადაანგარიშდა, მონიშნულ იქნა „გადაანგარიშებული“-ს კლასიფიკაციით. შედეგად, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა სამი წლის საბალანსო უწყისი. გარდა ამისა, შედარებისთვის, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ ასევე წარმოადგინა გასულ პერიოდში გამოქვეყნებული ფინანსური უწყისები, რომელთა გადაანგარიშებაც მოხდა მიმდინარე პერიოდში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე)

აქტივები	შენიშვნა	31-12-23	31-12-22	31-12-21
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	2,771,899	939,396	307,824
მარაგები	5	6,082,071	6,374,526	4,678,227
გადახდილი ავანსები	6	2,972,506	374,686	23,688
სხვა მიმდინარე აქტივები		274	78,799	67,099
სულ მოკლევადიანი აქტივები		11,826,750	7,767,407	5,076,838
გრძელევადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		81,059	69,304	-
სულ გრძელევადიანი აქტივები		81,059	69,304	-
სულ აქტივები		11,907,809	7,836,711	5,076,838
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		61,671	27,549	-
მიღებული ავანსები	7	3,206,687	873,006	-
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები		252,907	130,887	30,253
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		73,974	2,976	118
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,595,239	1,034,418	30,371
გრძელევადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	8	1,969,133	1,977,890	1,936,000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,969,133	1,977,890	1,936,000
სულ ვალდებულებები		5,564,372	3,012,308	1,966,371
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		1,819,951	2,088,731	2,088,731
გაუნაწილებელი მოგება		4,523,486	2,735,672	1,021,736
სულ საკუთარი კაპიტალი		6,343,437	4,824,403	3,110,467
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		11,907,809	7,836,711	5,076,838

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე)

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	9	3,520,282	3,638,176
თვითღირებულების ხარჯი	9	(833,433)	(855,622)
საერთო მოგება		2,686,849	2,782,554
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(520,866)	(1,028,029)
ხელფასები და სხვა სარგებელი	11	(358,768)	(192,113)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი		(13,226)	(3,910)
სხვა შემოსავლები		49,855	296,378
მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		1,843,844	1,854,880
საპროცენტო შემოსავალი		29,146	6,083
საპროცენტო ხარჯი		(123,500)	(104,497)
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან		80,487	233,963
მოგება დაბეგვრამდე		1,829,977	1,990,429
მოგების გადასახადი		(9,611)	(41,486)
წმინდა მოგება		1,820,366	1,948,943

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარი	2,088,731	1,021,736	3,110,467
დივიდენდის გატანა	-	(235,007)	(235,007)
წმინდა მოგება	-	1,948,943	1,948,943
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	2,088,731	2,735,672	4,824,403
კაპიტალის შემცირება	(268,780)	-	(268,780)
დივიდენდის გატანა	-	(32,552)	(32,552)
წმინდა მოგება	-	1,820,366	1,820,366
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	1,819,951	4,523,486	6,343,437

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის

მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

თარიღი	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	5
მანქანა-დანადგარები	10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	3-10

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. კომპანიის მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული

მომველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

კომპანიას არჩეული აქვს თვითღირებულების მოდელი. შესაბამისად, არ ხდება ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულებაზე გადაფასება.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა. აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

3.3 მარაგები

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მისი საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანიის მარაგებს წარმოადგენს უძრავი ქონება და შესაბამისი მიწა.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მასალების შეძენასთან და მშენებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია უშუალოდ უძრავი ქონების რეალიზაციისთვის სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. აღნიშნულ დანახარჯებში შედის უშუალოდ მასალები, რომლებიც გამოიყენება მშენებლობისას, ასევე მუშებისა და ხელოსნების ხელფასები. მასალების ღირებულება მოიცავს ტრანსპორტირებისა და ტრანსფორმაციის ხარჯებს. მარაგების აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

3.4 ინვესტიციები ერთობლივ საწარმოებში

ინვესტიციები ერთობლივ საწარმოებში აღირიცხება წილობრივი მეთოდით, რომელიც გულისხმობს ინვესტიციის თავდაპირველად აღიარებას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას ინვესტირებული საწარმოს ნეტო აქტივებში ინვესტორის კუთვნილ წილში შეძენის შემდგომ მომხდარი ცვლილების შესაბამისად. კომპანიის მოგება ან ზარალი მოიცავს მის კუთვნილ წილს ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში.

3.5 ნასესხები სახსრები (ნასესხო ვალდებულებები)

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ გარიგების ხარჯების (მათ შორის სესხის გაცემის საკომისიო) წრფივი ამორტიზაციის მეთოდი არ იძლევა მატერიალურ სხვაობას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდთან, ასეთ შემთხვევაში ხდება ამ ხარჯების წრფივი ამორტიზაცია და საპროცენტო ხარჯში აღიარება დროის გასვლის პროპორციულად. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

3.6 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.7 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.8 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

3.9 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფულის ძირითადი ნაწილი განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე, ხოლო ფულადი სახსრების ნაწილს ინახავს საღაროში.

2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-24	31-12-23
ფული უცხოურ ვალუტაში	152,706	2,732,280
ფული ეროვნულ ვალუტაში	16,920	39,619
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	169,626	2,771,899

5. მარაგები

კომპანიის მარაგები დაყოფილია სარეალიზაციო უძრავ ქონებად და სხვა მარაგებად.

მათი ნაშთები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

მარაგები	31-12-24	31-12-23
სარეალიზაციო უძრავი ქონება	6,094,283	6,080,380
სხვა მარაგები	1,339	1,691
სულ მარაგები	6,095,622	6,082,071

6. გადახდილი ავანსები

გადახდილ ავანსებში შეყვანილია ისეთი მომწოდებლები, რომელთა მიმართაც წინასწარ იქნა ანაზღაურებული საქონლის/მომსახურების ნაწილობრივი ან სრული ღირებულება და 31 დეკემბრის მდგომარეობით არ იქნა მიღებული მომსახურება ან საქონელი.

2024 და 2023 წლების ბოლოს მომწოდებლების რაოდენობა, რომლებზეც კომპანიას გადახდილი ჰქონდა ავანსები შეადგენდა 9-9 იურიდიულ პირს.

7. ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში

კომპანიას გააჩნია ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში, რომელიც წარმოადგენს შპს კ1-ში (ს/კ 400199245) 50% წილს, დარჩენილი 50%-იანი წილის მფლობელი არის შპს ჯი ენდ ჯი ქეი (ს/კ 405195284)

ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში

ნაშთი 2023 წლის 1 იანვარი	689,969
დივიდენდის მიღება ერთობლივი საწარმოდან	(50,000)
კომპანიის წილი ზარალი ერთობლივ საწარმოში	(132,452)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	507,517
კომპანიის წილი ზარალი ერთობლივ საწარმოში	(37,210)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი	470,307

8. მიღებული ავანსები

მიღებულ ავანსებში შეყვანილია ისეთი მყიდველები, რომელთაგან წინასწარ იქნა ანაზღაურებული საქონლის ნაწილობრივი ან სრული ღირებულება და 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა საქონლის მიწოდება.

2024 წელს ასეთი მყიდველების რაოდენობა იყო 174 ფიზიკური პირი, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 141 ფიზიკური პირი.

9. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

კომპანიის გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები შედგება დამფუძნებლისაგან მიღებულ სესხებისა და ასევე ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებულ სესხებისგან.

2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	31-12-24	31-12-23
დამფუძნებლისგან მიღებული სესხები	1,122,720	1,344,700
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები	1,812,755	624,433
სულ გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	2,935,475	1,969,133

10. შემოსავალი რეალიზაციიდან და თვითღირებულების ხარჯი

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს უძრავი ქონების შესყიდვა, კეთილმოწყობა და რეალიზაცია.

დარიცხული შემოსავალი და მიწოდებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

საერთო მოგების გაანგარიშება	2024	2023
შემოსავალი, საიდანაც:	946,725	3,520,282
შემოსავალი საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან	946,725	3,520,282
თვითღირებულება:	(2,219,820)	(833,433)
რეალიზებული საქონლისა და მომსახურების თვითღირებულება	(2,219,820)	(833,433)
საერთო მოგება	(1,273,095)	2,686,849

11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
მიწოდების ხარჯები	329,447	260,244
კომუნალური ხარჯი	97,023	9,237
საკონსულტაციო და იურიდიული ხარჯი	52,389	7,348
დაცვის ხარჯი	40,678	40,678
ავტომობილის იჯარის ხარჯი	22,500	35,625
ბუღალტრული მომსახურების ხარჯი	18,630	18,630
საწვავის და ტრანსპორტირების ხარჯი	12,665	10,013
საბანკო მომსახურების ხარჯი	2,996	1,585
ოფისის ხარჯი	2,987	9,596
მარკეტინგის ხარჯი	-	17,476
წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯები	-	11,137
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	114,851	99,297
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	694,166	520,866

12. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული

მომსახურების სანაცვლოდ. აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	2024	2023
სახელფასო ხარჯი	439,247	349,836
საპენსიო და სხვა სარგებელი	10,928	8,932
სულ ხელფასები და სხვა სარგებელი	450,175	358,768

13. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

12.1 2024 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 146,953 ლარი, ხოლო 2023 წელს 102,630 ლარი.

12.2 2024 და 2023 წლების განმავლობაში კომპანიას აღებული ჰქონდა გრძელვადიანი სესხები დამფუძნებლებისგან. აღნიშნული სესხების ბალანსები 2024 და 2023 წლების ბოლოს წარმოდგენილია ქვემოთ:

სესხები	31-12-24	31-12-23
დამფუძნებლებისგან მიღებული სესხები	1,122,720	1,344,700

12.3 2024 და 2023 წლების განმავლობაში კომპანიის მიერ დამფუძნებლებისგან აღებული სესხების მოკლევადიანი ნაწილი 2024 და 2023 წლების ბოლოს წარმოდგენილია ქვემოთ:

დარიცხული პროცენტები	31-12-24	31-12-23
დამფუძნებლებისგან მიღებული სესხები	229,238	156,867

12.4 2023 წელს კომპანიამ მიიღო დივიდენდი შვილობილი კომპანიისგან 50,000 ლარის ოდენობით.

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.

